



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №43/2017

სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხის - „თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს მიწა არ იყიდებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე?“ და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობის რეგისტრაციის საკითხის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 27 ივნისი

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მიმდინარე წლის 31 მაისს, (ცესკოში რეგისტრაციის №1002) შემოვიდა სარეფერენდუმო საინიციატივო ჯგუფის წევრების - ზურაბ თოლორაიას (ქ. თბილისი, ზღვის დასახლება, 10ბ კვარტ. კორპ. 3, ბინა 44), კახაბერ ნიქაბაძის (ლექსუმის ქ. №64), ვახტანგი ასპანიძის (ქ. თბილისი, ზღვის დასახლება, 10ბ კვარტ. კორპ. 3, ბინა 44.), დავით კუჭავას (ქ. თბილისი, ასხანის ქ. №30), თეიმურაზ ცისკარიშვილის (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-4 კვ. მე-5 კ. ბ. 32), ბადრი ჯინჭარაძის (ქ. თბილისი, გლდანის მე-8 მკ. 1 კორპ. ბინა 139) და ბადრი კვირიკაშვილის (ქ. თბილისი, გლდანი მე-3 მკ. კორპ 72, ბინა 182) განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია, რომ ცესკომ რეგისტრაციაში გაატაროს სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი: „თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს მიწა არ იყიდებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე?“.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 175-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული სარეფერენდუმო კითხვის ფორმულირების დაზუსტების მიზნით, ამა წლის 13 ივნისს გაიმართა ცესკოს სხდომა. საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ განცხადებაში მითითებული სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი დარჩა უცვლელი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 175-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნის, იქმნება საინიციატივო ჯგუფი. სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი

საინიციატივო ჯგუფმა უნდა ჩამოაყალიბოს მკაფიოდ და კონკრეტულად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ცესკო სარეფერენდუმოდ შემოთავაზებულ საკითხს და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას ატარებს რეგისტრაციაში და ამის შესახებ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციასა და საინიციატივო ჯგუფის მისამართს, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი მოთხოვნები. ანალოგიურ ნორმებს ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონის „რეფერენდუმის შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტები. ამდენად, იმისათვის, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატაროს სარეფერენდუმო საკითხი და მისი წარმდგენი საინიციატივო ჯგუფი, აუცილებელია, რომ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი არ ეწინააღმდეგებოდეს ზემოხსენებული ორგანული კანონებით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიაჩნია, რომ საინიციატივო ჯგუფის (ზურაბ თოლორაიას, კახაბერ ნიქაბაძის, ვახტანგი ასპანიძის, დავით კუჭავას, თეიმურაზ ცისკარიშვილის, ბადრი ჯინჭარაძის და ბადრი კვირიკაშვილის შემადგენლობით) მიერ შემოთავაზებული სარეფერენდუმო საკითხი: „თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს მიწა არ იყიდებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე?“ ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განსაზღვრულ საკუთრების ადამიანის ძირითად საყოველთაო კონსტიტუციურ უფლებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შემენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი“.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის შემადგენელი ნაწილია, ეს უკანასკნელი კი არეგულირებს საქართველოს მოქალაქეობასა და ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებების კონსტიტუციურ საკითხებს, აღნიშნულ თავში უფლებათა სუბიექტების განსაზღვრისას გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინოლოგია, კერძოდ, კონსტიტუციის შესაბამის ნორმებში ვხვდებით

ისეთ ფორმულირებებს, როგორცაა: „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, „საქართველოს მოქალაქენი“, „საქართველოს ყოველი მოქალაქე“. საქართველოს კონსტიტუცია მიჯნავს უფლებებს, რომელთა სუბიექტიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა, იმ უფლებებისგან, რომლებიც უნივერსალური ბუნებისაა და „ყველაზე“ ვრცელდება.

სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი - „თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს მიწა არ იყიდებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე“ ეხება ისეთ საკითხს, რომელიც ზღუდავს ადამიანის საკუთრების კონსტიტუციურ საყოველთაო უფლებას, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია ისეთი საკითხების რეფერენდუმის გზით გადაწყვეტა, რომელიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 172-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიაჩნია, რომ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი - „თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს მიწა არ იყიდებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე?“ გულისხმობს საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას რეფერენდუმის გზით, რაც დაუშვებელია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 172-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 172-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 175-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „რეფერენდუმის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. უარი ეთქვას რეგისტრაციაზე საინიციატივო ჯგუფს (ზურაბ თოლორაიას, კახაბერ ნიქაბაძის, ვახტანგი ასპანიძის, დავით კუჭავას, თეიმურაზ ცისკარიშვილის, ბადრი ჯინჭარაძის და ბადრი კვირიკაშვილის შემადგენლობით) და მის მიერ შემოთავაზებულ სარეფერენდუმო საკითხს: „თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს მიწა არ იყიდებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე?“.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი